ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #66

7 სექტემბერი, 2021 წელი
15:00 საათი
(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 7 სექტემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. მიხეილ ამაშუკელი;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. მიხეილ მესხი;
5. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის დირექტორის მოადგილე ნინო ბისეიშვილი.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი სპეციალისტი (პროგრამის კოორდინატორი) ნინო ლომინაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი" ს (ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი ვარკეთილის, ორხევის და დიდი დიღმის სოციალური საცხოვრისები) - 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის დირექტორის მოადგილე ნინო ბისეიშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"-ს (ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი ვარკეთილის, ორხევის და დიდი დიღმის სოციალური საცხოვრისები) - 2021 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2021 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 150-მა მიუსაფარმა პირმა. მათგან, 61 ქალი და 91 კაცი.

<u>2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ირიცხება 91 ბენეფიციარი: 43 ქალი და 48 მამაკაცი.</u>

გასული 8 თვის განმავლობაში (31 აგვისტოს მდგომარეობით) თავშესაფარში ჩაირიცხა 70 ახალი ბენეფიციარი: 19 - ქალი; 51 - მამაკაცი.

ჩარიცხვა თვეების მიხედვით:
იანვარი - 8; თებერვალი - 12; მარტი - 15; აპრილი - 8; მაისი - 6; ივნისი - 5; ივლისი - 9; აგვისტო - 7.

გასული 8 თვის განმავლობაში (31 აგვისტოს მდგომარეობით) თავშესაფრიდან ამოირიცხა/გაირიცხა 57 ბენეფიციარი.

კერძოდ:

- პირადი განცხადების საფუძველზე - 34 ბენეფიციარი;
- ალკოჰოლის განმეორებით მიღების გამო - 1 ბენეფიციარი;
- თავშესაფრის თვითნებურად დატოვების გამო - 11 ბენეფიციარი;
- დებოშისა და შინაგანაწესის დარღვევის გამო - 1 ბენეფიციარი;
- გარდაიცვალა - 10 ბენეფიციარი (მათ შორის - 7 ,,წმ. მამა გაბრიელის სახელობის პალიატიურ ჰოსპისში").

თავშესაფარში ჩარიცხვაზე უარი ეთქვა 44 მოქალაქეს.

კერძოდ:

- მათზე რეგისტრირებული ქონების გამო - 6 შემთხვევა;

- თავშესაფარში მოსვლის მომენტისთვის ალკოჰოლური ზემოქმედების გამო - 2 შემთხვევა;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო - 21 შემთხვევა (მათ შორის 1 - კოვიდ დადებითი);
- რეგისტრაციის ადგილი არ წარმოადგენდა თბილისს - 7 შემთხვევა;
- თავად განაცხადა უარი - 5 შემთხვევა;
- მართვის ინსტრუქციით, თავშესაფარში ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის არარსებობა (არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი) – 1 შემთხვევა;
- არ არის საქართველოს მოქალაქე - 2 შემთხვევა.

თავშესაფარში ჩარიცხვაზე უარები თვეების მიხედვით:
იანვარი - 6; თებერვალი - 8; მარტი - 3; აპრილი - 6; მაისი - 3; ივნისი - 6; ივლისი - 7; აგვისტო - 5.

ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მომსახურებით 1 ღამით ისარგებლა სულ 7-მა მოქალაქემ.

მიზნობრივი ჯგუფები

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ცხოვრობს 15 შშმ პირი, მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე - 11 ბენეფიციარი; რომლებიც ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში" აღრიცხვაზე იმყოფებიან და სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამით.

ხანდაზმული - 39 ბენეფიციარი; 29 ქალი და 10 კაცი.

<u>**თავშესაფრის ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფა:**</u> საანგარიშო პერიოდში თავშესაფრის ბენეფიციარებს, დღეში ორჯერადი კვების გათვალისწინებით, 484- ჯერ მიეწოდათ 45 273 ბენეფიციარზე გათვლილი 63 294.89 ლარის ღირებულების საკვები.

<u>**სანიტარულ - ჰიგინური მომსახურება:**</u> ლილოს მიუსაფართა თავშესაფარსა და სოციალურ საცხოვრისებში (დიდი დიღომი, ვარკეთილი, ორხევი) თვეში ერთხელ (ან/და საჭიროებისამებრ) ტარდება სანიტარული მომსახურება, კერძოდ დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია (2720 ლარი).

სოციალური სახლები

„ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის" მმართველობის სფეროში შედის ვარკეთილის, ორხევისა და დიდი დიღმის სოციალური სახლები, რომლებშიც განთავსებულია სოციალურად დაუცველი და უსახლკარო 152 ოჯახი (500 მაცხოვრებელი), მათგან: ხელშეკრულებით - 126 ოჯახი, ხოლო ხელშეკრულების გარეშე - 26 ოჯახი.

ვარკეთილის სოციალურ სახლში განთავსებულია 53 ოჯახი (160 მაცხოვრებელი)

- ხელშეკრულებით ცხოვრობს 43 ოჯახი, 113 ბენეფიციარი. ხელშეკრულებით მცხოვრებ ბენეფიციარებს შორის არის ქალი - 50, კაცი - 35, არასრულწლოვანი - 28; შშმ პირი - 13; ხანდაზმული - 19; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი - 43; ფულადი შემწეობის მიმღები ოჯახი - 36; ფულადი შემწეობის მიმღები პირი - 93.
- ხელშეკრულების გარეშე ცხოვრობს 10 ოჯახი, 47 პირი. მათგან, ქალი - 15, კაცი - 13, არასრულწლოვანი - 19; შშმ პირი - 8; ხანდაზმული - 4; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი - 10; ფულადი შემწეობის მიმღები ოჯახი - 5; ფულადი შემწეობის მიმღები პირი - 38.

ხელშეკრულება გაფორმებული აქვს, მაგრამ არ ცხოვრობს 9 ბენეფიციარი: ქალი - 5, კაცი - 1, არასრულწლოვანი - 3.

ორხევის სოციალურ სახლში განთავსებულია 75 ოჯახი (266 მაცხოვრებელი)

- ხელშეკრულებით ცხოვრობს 75 ოჯახი, 266 ბენეფიციარი. მათ შორის: ქალი - 117, კაცი - 56, არასრულწლოვანი - 93 (გარდაიცვალა 3 ბენეფიციარი: ქალი - 2; კაცი - 1); შშმ პირი - 27; ხანდაზმული - 25; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი - 73; ფულადი შემწეობის მიმღები ოჯახი - 72; ფულადი შემწეობის მიმღები პირი - 262.
- ხელშეკრულების გარეშე ცხოვრობს 33 პირი, მათგან: კაცი - 16; ქალი - 5 და არასრულწლოვანი - 12;

ხელშეკრულება გაფორმებული აქვს, მაგრამ არ ცხოვრობს/არასტაბილურად ცხოვრობს 37 ბენეფიციარი: ქალი - 16, კაცი - 11, არასრულწლოვანი - 10.

დიდი დიღმის სოციალურ სახლში განთავსებულია 24 ოჯახი (74 მაცხოვრებელი)

- ხელშეკრულებით ცხოვრობს 8 ოჯახი; 29 ბენეფიციარი; ხელშეკრულებით მცხოვრებ ბენეფიციარებს შორის არის ქალი - 13, კაცი - 8, არასრულწლოვანი -8; შშმ პირი - 13; ხანდაზმული - 19; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი - 8; ფულადი შემწეობის მიმღები ოჯახი - 6; ფულადი შემწეობის მიმღები პირი - 20.
- ხელშეკრულების გარეშე ცხოვრობს 16 ოჯახი; 45 ბენეფიციარი: ქალი - 18, კაცი - 16, არასრულწლოვანი - 11; შშმ პირი - 10; ხანდაზმული - 3; სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული ოჯახი - 16; ფულადი შემწეობის მიმღები ოჯახი - 9; ფულადი შემწეობის მიმღები პირი - 29.

ეპიდ-მდგომარეობა და სტატისტიკა 2021 წ

გასული 8 თვის განმავლობაში, ლილოში კოვიდის დადასტურების 9 შემთხვევა აღინიშნა. სტაციონარში გადაყვანილი იქნა 2 ბენეფიციარი. სოციალურ სახლებში: ვარკთილში - 2 შემთხვევა; ორხევში 4 შემთხვევა. კოვიდ 19 დაუდასტურდა ა(ა)იპ-ის 7 თანამშრომელს.

ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის 40 ბენეფიციარიდან 16 ბენეფიციარი აიცრა ორი დოზით, დანარჩენი 24-ერთი დოზით.

ორხევის სოციალურ სახლში აიცრა მხოლოდ 4 ბენეფიციარი.

კოვიდპანდემიის დროს მუშაობა

თავშესაფარსა და სოციალურ სახლებში, მიმდინარე წელსაც მუშაობა მიმდინარეობდა არსებული პროტოკოლის შესაბამისად. უსაფრთხოების ზომების სრული დაცვით და მუდმივ კონტაქტში ბენეფიციარებთან.

სერვისები და მომსახურებები

საანგარიშო პერიოდში, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში მცხოვრებმა ბენეფიციარებმა მიიღეს სხვადასხვა მომსახურება:

- სოციალური მუშაკების მიერ მომზადდა 52 ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება; გაიწერა ამდენივე ინდივიდუალური მომსახურების გეგმა; დაიხურა 61 შემთხვევა; 63 შემთხვევა გადაისინჯა და დაისახა ახალი გეგმები;
- ბენეფიციარებთან სულ განხორციელდა 4235 ინდივიდუალური და 116 ჯგუფური შეხვედრა;
- ჩატარდა სხვადასხვა სახის ჯგუფური აქტივობა. კერძოდ:
  - ✓ ინტელექტუალური თამაში ,,რა, სად, როდის?"
  - ✓ კლუბური შეხვედრა ხანდაზმულებისთვის ,,ბენეფისი"
  - ✓ ტურნირი ნარდში/დომინოში

  სულ, 10 შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 85-მა ბენეფიციარმა.
- ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში, მომსახურების მიღების მიზნით, სოციალურმა მუშაკებმა 178 ბენეფიციარი (65 ქალი; 113 კაცი) საჭიროებისამებრ გადაამისამართეს სხვადასხვა ორგანიზაციებში;
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე- www.worknet.gov.ge სოციალური მუშაკების მიერ რეგისტრირდება ყველა შრომისუნარიანი ბენეფიციარი;
- ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 36-ს; პერიოდულად დასაქმებული - 27 ბენეფიციარს;
- მიმდინარე პერიოდში დასაქმებული იყო თავშესაფრის 57 ბენეფიციარი (ქალი - 16; კაცი - 47; შშმპ - 3).

ვარკეთილის სოციალური სახლი

2021 წლის საანგარიშო პერიოდში, ვარკეთილის სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 300 ინდივიდუალური შეხვედრა. 147 შეხვედრა ოჯახებთან; 3 ოჯახური კონფერენცია;

- 89 ბენეფიციარი გადამისამართდა გარე სერვისებთან;
- ასევე, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები:
- ✓ კინოკლუბი 4-ჯერ;
- ✓ ცოდნის სამყარო 4-ჯერ;
- ✓ შრომითი თერაპია (ხატვა, ძერწვა) ინდივიდუალურად 6- ჯერ.

სულ, სამივე აქტივობაში წლის განმავლობაში ჩართული იყო 43 ბავშვი.

- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე- www.worknet.gov.ge სოციალური მუშაკების მიერ რეგისტრირდება ყველა შრომისუნარიანი ბენეფიციარი;
- პროფესიულ კურსში ჩართვა შეეთავაზა 5 ბენეფიციარს (ქალი - 1; არასრულწლოვანი - 4), თუმცა ჩაერთო მხოლოდ ერთი ბენეფიციარი (ქალი - 1);
- ვარკეთილის სოციალურ სახლში სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 116-ს; პერიოდულად დასაქმებული - 75 ბენეფიციარს;
- მიმდინარე პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო საცხოვრისის 191 ბენეფიციარი; ქალი - 78; კაცი - 113 (მათგან: შშმპ - 6; არასრულწლოვანი - 6);
- სოციალური მუშაკის უშუალო ჩართულობითა და დახმარებით დასაქმებულ ბენეფიციართა რიცხვი შეადგენს 5-ს.

ორხევის სოციალური სახლი

- 2021 წლის საანგარიშო პერიოდში, ორხევის სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 233 ინდივიდუალური შეხვედრა. 77 შეხვედრა ოჯახებთან;
- 36 ბენეფიციარი გადამისამართდა გარე სერვისებთან;
- ასევე, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები:
- ✓ კინოკლუბი 5-ჯერ;
- ✓ ცოდნის სამყარო 15-ჯერ;
- ✓ ეზოს თამაშები 2- ჯერ.

სულ, სამივე აქტივობაში წლის განმავლობაში ჩართული იყო 100 ბავშვი.

- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე- www.worknet.gov.ge სოციალური მუშაკების მიერ რეგისტრირდება ყველა შრომისუნარიანი ბენეფიციარი;
- პროფესიულ კურსში ჩართვა შეეთავაზა 12 ბენეფიციარს (ქალი - 6; კაცი - 2; არასრულწლოვანი - 4), ჩაერთო 4 ბენეფიციარი (კაცი - 1; არასრულწლოვანი - 3);

- ორხევის სოციალურ სახლში სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 84 -ს; პერიოდულად დასაქმებული - 89 ბენეფიციარს;
- მიმდინარე პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო საცხოვრისის 173 ბენეფიციარი; ქალი - 101; კაცი - 71 (მათგან: შშმპ - 6; არასრულწლოვანი - 6);
- სოციალური მუშაკის უშუალო ჩართულობითა და დახმარებით დასაქმებულ ბენეფიციართა რიცხვი შეადგენს 4-ს.

ფსიქოლოგის მომსახურება

ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი

- **საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა:** სულ - 48 (ქალი - 35; კაცი - 13);
- **განხორციელებული ფსიქოლოგიური სესიების რაოდენობა:** ინდივიდუალური - 68.

ფსიქოლოგის ძირითად სამუშაო თემებს წარმოადგენდა:

ემოციური განმუხტვა - ეს ძირითადად ისეთ ბენეფიცარებთან იყო მნიშვნელოვანი, ვინც საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის გამო ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს თავშესაფრის დატოვებასა და გარემოს პერიოდულ ცვლილებას, რაც ხელის შემშლელია სტაბილური ფსიქო-ემოციური ფონის შენარჩუნებისთვის. მუშაობის

დროს გამოყენებული ტექნიკები საშუალებას აძლევდა ბენეფიციარს გათავისუფლებულიყო ნეგატიური ემოციებისგან უსაფრთხო გზით. მიმართულიყო საკუთარი რესურსების აღმოჩენისა და გამოყენებისკენ. დაუგემავი ინდივიდუალური კონსულტირების პროცესის მიზანს წარმოადგენდა ბენეფიციარის ემოციური მდგომარეობის შემსუბუქება და არსებულ სიტუაციაში ნორმალური ადაპტაციისთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა.

ტრავმული მოგონებებისგან გათავისუფლება - აქტუალურ თემად რჩება, იმის გათვალისწინებით, რომ ინდივიდუალურ კონსულტირებაში ჩართულ ბენეფიციართა შორის მრავლად ვხვდებით წარსულში ტრავმული გამოცდილების მქონე ინდივიდებს. ამ კუთხით მუშაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ყოველდღიური ფუნქციონირების გაუმჯობესებაში.

კონფლიქტური დამოკიდებულება თანამცხოვრებლების მიმართ - ვლინდებოდა კონკრეტული თანამაცხოვრებლებისადმი უკმაყოფილებითა და პირადი უარყოფითი დამოკიდებულებით, რაც რიგ შემთხვევებში კავშირში იყო ბენეფიციარის არასტაბილურ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასთან.

ჯგუფური შეხვედრები

<u>კინოკლუბი</u>

შეხვედრების რაოდენობა: 15

აქტივობის მიზანს წარმოადგენს რელაქსაციური და თერაპიული ეფექტის მიღწევა მონაწილეებთან, ემოციური განმუხტვის საშუალების მიცემა მათთვის, ასევე კომუნიკაციისა და ურთიერთობის გაუმჯობესება ჯგუფის წევრებს შორის. მიმდინარე პერიოდის განმავლობაში შერჩეული ფილმები ძირითადად ეხმიანოებოდა ბენეფიციართათვის აქტუალურ საკითხებს, ასევე ფილმები შეირჩეოდა სტაბილურ დამსწრეთა სურვილის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო ზოგადად შედარებით იკლო დამსწრეთა რიცხვმა.

ჩართულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა: 66

<u>შრომითი თერაპია (შერეულ ჯგუფთან)</u>

შეხვედრების რაოდენობა: 44

მიზნობრივი ჯგუფი: შერეული

შეხვედრის თემა: ხატვა, გაფერადება, ხელნაკეთი ნიმუშების დამზადება.

შეხვედრის მიზანი: ემოციური განმუხტვა, თერაპიული გავლენა მონაწილეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. შრომითი თერაპია მიმართული იყო პროცესში მონაწილეობით მიღებულ თერაპიულ ეფექტზე - ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა ფანქრებითა და საღებავებით გაფერადება, ფერებთან შეხება და ა.შ. გარდა ამისა მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ განსაზღვრული, შედარებით გართულებული საერთო ნამუშევრების შექმნაზე, რომლებიც შემდეგ წარმოდგენილ იქნა საგამოფენო სივრცეში. საერთო ნამუშევრის შექმნაში მონაწილეობას იღებდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე და კოგნიტური განვითარების შეფერხების მქონე ბენეფიციარებიც, (რომლებსაც ევალებოდათ დაძლევადი სირთულის დეტალების შექმნაში მონაწილეობა), რაც სოციალური უნარების გაუმჯობესებისა და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევდა მათ. მუშაობის პროცესში წახალისებული იყო ერთმანეთისადმი მხარდაჭერითი დამოკიდებულება, რის საშუალებასაც იძლევა საერთო ნამუშევრის შექმნა, ან ნამუშევრის წყვილში შექმნა. როგორც თავად მონაწილეები აღნიშნავენ პროცესი დადებითად აისახება მათ ემოციურ მდგომარეობასა და განწყობაზე. დამატებით თერაპიულ ეფექტს იძლეოდა შრომითი თერაპიის პროცესში შექმნილი ნამუშევრების საგამოფენო სივრცეში სხვებისთვის წარდგენა, რაც მათი გარესამყაროსთან კომუნიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. რაც შეეხება პროცესს აღსანიშნავია, რომ საჭიროებდა მუდმივ და დეტალურ განმარტებებს წამყვანის მხრიდან, თითოეული ნაბიჯის განხორციელების მეთვალყურეობას და ჯგუფური მუშაობისას ზოგ შემთხვევაში წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას.

ჩართულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა: 22

<u>ჯგუფური არტთერაპია (შერეულ ჯგუფთან)</u>

შეხვედრების რაოდენობა: 4

მიზნობრივი ჯგუფი: შერეული

შეხვედრის თემა: ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეხვედრის მიზანი: უარყოფითი განცდებისგან გათავისუფლება, ნახატის საშუალებით

შიშების, სურვილების, მოგონებების დაკონკრეტება. მონაწილეთათვის არალიმიტირებული გამოხატვის საშუალების მიცემა.

მონაწილეებს ევალებოდათ შეესრულებინათ არტთერაპიული სამუშაო წინასწარ განსაზღვრულ თემაზე. პროცესი ფოკუსირებული იყო უარყოფითი განცდებისგან გათავისუფლებაზე, თვითჩაღრმავებაზე, წარსული ტრავმული გამოცდილების უსაფრთხო გზით გადამუშავებაზე, განცდების, ფიქრებისა და შეგრძნებების გაცნობიერებასა და სელფის აშენებაზე.

ჩართულ მონაწილეთა საერთო რაოდენობა: 12

ხელშემშლელი საკითხები

ბენეფიციართა დაბალი მოტივაცია - ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებით შემოფარგვლა. ერთგვარი მოდუნება და ისეთი ინტერესების არქონა, რომელიც უფრო მაღალ საფეხურებზე გვხვდება: პატივისცემის, შემეცნებითი, ესთეტიკური, თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებები. ეს ხელისშემშლელია იმ მნიშვნელოვანი მიმართულებით მუშაობის პროცესში, როგორიცაა ბენეფიციართა რესოციალიზაციის ხელშეწყობა.

სოციალური სახლები

ვარკეთილის სოციალური სახლი

- **საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა:** სულ - 55 (ქალი - 38; კაცი - 6; არასრულწლოვანი - 11);
- **განხორციელებული ფსიქოლოგიური სესიების რაოდენობა:**

  ინდივიდუალური - 67;
  ოჯახებთან - 22.

2021 წლის იანვარ - თებერვალის თვეში ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში ბენეფიციარებთან ფსიქოლოგიური მუშაობა, ძირითადად, დისტანციურად, სატელეფონო ან ვიდეო ზარის მეშვეობით განხორციელდა. განხორციელდა 21 დისტანციური კონსულტაცია.

ბენეფიციარებისთვის გაწეული ფსიქოლოგიური კონსულტაცია მიმდინარეობდა შემდეგ საკითხებზე:

- ✓ გამწვავებული ჯანმრთელობის შედეგად, გართულებული ემოციური ფონი (შფოთვა შიშები);
- ✓ დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ მშობელთა კონსულტირება და რეკომენდაციების გაწევა მოზარდების ქცევის მართვისა და სასწავლო მოტივაციის გაუმჯობესების საკითხებზე;

- ✓ მოზარდის ფსიქო ემოციურ განვითარებაში რეგრესისა და ინფანტილიზმის მიზეზები და დაძლევის ფსიქოლოგიური და აღმზრდელობითი მიდგომები;
- ✓ აღზრდის (ერთდროულად) განსხვავებული სტილი, როგორც მოზარდის ქცევის დეზორგანიზაციის მიზეზი;

- ✓ ფსიქო-კორექციული ხასიათის თერაპიული (ინდივიდუალურად) მუშაობა მოზრდებთან (არტთერაპია, თერაპიული ხატვა).

მიმდინარე დაგეგმილი და დაუგეგმავი ინდივიდუალური ფსიქოლოგიური სესიები მიმართული იყო შშმ და ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, ემოციური მდგომარეობის შემსუბუქების, ემოციური ვინტილაციის, პიროვნული გაძლიერებისა და შფოთვის დასაძლევად. მშობლებთან წარიმართა როგორც საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის მუშაობა დისტანციურ სწავლებაში მოზარდის ჩართულობასა და ჩვეულებრივ სასწავლო რეჟიმის აღდგენასთან დაკავშირებით, ასევე გაეწიათ კონსულტაცია მოზარდის განვითარების დინამიკისა და შეფერხების , აგრესიული ქცევის მიზეზებსა და მოზარდის ქცევის მართვის პოზიტიურ მეთოდებზე. თავისუფლი დროის, როგორც აუცილებელი

დროის გააზრებასა და თამაშის გავლენაზე ბავშვის ფსიქო-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებაზე. საანგარიშო პერიოდში ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში ინდივიდუალური და ოჯახური ფსიქოლოგიური კონსულტაცია მიმდინარეობდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გამწვავებული ჯანმრთელობის (ფსიქიკური ჯანმრთელობა, ქრონიკული დაავადებები) მდგომარეობის შედეგად, გართულებული ემოციური ფონი (აგრესია, შფოთვა, შიშები); დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები; მშობელთა კონსულტირება და რეკომენდაციების გაწევა მოზარდების ქცევის მართვისა და სასწავლო მოტივაციის გაუმჯობესების საკითხებზე; მშობელთა აღმზრდელობითი უნარებისა ამაღლება; საგანმანათლებლო მუშაობა ემოციების მართვისა და პოზიტიური კომუნიკაციის უნარ - ჩვევების გაუმჯობესების მიზნით. ასევე, აქტუალური იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირებთან მუშაობა და კონფლიქტური სიტუაციების მართვა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შშმ და ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, ემოციური მდგომარეობის შემსუბუქების, ემოციური ვინტილაციის, პიროვნული გაძლიერების მიმართულებით. ინდივიდუალური სესიების რეჟიმში განხორციელდა ფსიქოთერაპიული (რელაქსაციური) მუშაობა ხანდაზმულ ბენეფიციარებთან (ქალბატონები 60-დან). მოზარდებთან ინდივიდუალური მუშაობის დროს განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება სასწავლო პროცესში ჩართვის და სასწავლო მოტივაცის ამაღლების მიზნით. ამ საკითხებზე ასევე გაიზარდა მშობლების მომართვა.

ჯგუფური შეხვედრები

<u>„მშობელთა კლუბი“</u>

შეხვედრების რაოდენობა: მუშაობა მიმდინარეობდა ინდივიდუალურად

მიზნობრივი ჯგუფი: მშობლები

შეხვედრის მიზანი: კულტურული ღონისძიების შედეგების განხილვა; მშობელთა დაინტერესება და შვილების აქტივობებში თანამონაწილეობის მოტივაციის შექმნა;

რელაქსაცია; მშობელთა აღმზრდელობითი უნარების გაუმჯობესება; კონკრეტული საკითხების განხილვა და რეკომენდაციების გაწევა. მშობლების შვილებთან ემოციური დამოკიდებულებების გამოვლენა. ჯგუფის მონაწილეებს შორის გამოცდილების გაზიარება.

<u>ჯგუფი - „ქალები 60-დან“</u>

შეხვედრის რაოდენობა: 2

შეხვედრის მიზანი: 60 წლის ზემოთ და ქრონიკული დაავადებების (მათ შორის ონკოლოგიური) მქონე ბენეფიციართა შეკრება მათი სოციალიზაციისა და ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; ბენეფიციართა გუნება-განწყობილების გაუმჯობესება.

მონაწილეთა რაოდენობა: 9

<u>არტთერაპია</u>

შეხვედრის რაოდენობა: 4

შეხვედრის თემა: თავისუფალი ხატვა. ბისერებზე მუშაობა, ხატვა, ძერწვა, თიხაზე მუშაობა.

შეხვედრის მიზანი: რელაქსაცია; ფანტაზიის, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარების განვითარება; პრეზენტაციის, თვითგამოხატვის უნარის განვითარება.

მონაწილეთა რაოდენობა: 15

<u>ფსიქო კორექციული ჯგუფი</u>

შეხვედრების რაოდენობა: 3

სამიზნე ჯგუფი: წინა სასკოლო, უმცროსი, საშუალო და უფროსი სასკოლო ასაკი

შეხვედრის თემა: ჩვენი უნარები; აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია

შეხვედრის მიზანი: საკუთარი უნარებისა და ინტერესების გააზრება; შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირება. მოზარდების საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნება. საკუთარი ცოდნის სხვებისთვის გაზიარების სურვილის გაღვივება.

მონაწილეთა რაოდენობა: 18

ორხევის სოციალური სახლი

- **საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა:** სულ - 54 (ქალი - 24; კაცი - 7; არასრულწლოვანი - 23);
- **განხორციელებული ფსიქოლოგიური სესიების რაოდენობა:**
  ინდივიდუალური - 140;
  ოჯახებთან - 11.

2021 წლის პირველი კვარტალი განსაკუთრებით დატვირთული იყო კონფლიქტური სიტუაციებით, როგორც ოჯახური, ასევე საცხოვრისის ბენეფიციარებს შორის. ინტერპერსონალური ურთიერთობები ხასითდებოდა კომუნიკაციის უკიდურესი დამახინჯებით, რაც გამოიწვია როგორც კოვიდპანდემიასთან დაკავშირებულმა

რეგულაციებმა, ისე, ერთ სივრცეში სხვადასხვა ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის (როგორც ქრონიკული, ასევე ფსიქიკური), ცხოვრების განხვავებული წესის ადამიანების აკუმულირებამ, მობინადრეთა ძირითად ნაწილში დაბალმა სოციალურმა კომპეტენციამ, კომუნიკაციის უნარებმა. კონფლიქტების მართვის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობდა მხარდაჭერითი ფსიქოლოგიური მუშაობა ხანაზმულებისა და ქრონიკული დაავადების, კოვიდ ინფექციის მქონე პირებთან როგორც საცხოვრისში, ასევე სტაციონარში მკურნალობის პერიოდში.

მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული მშობლების აღმზრდელობითი როლის გააქტიურების, შვილების ყოველღიურ და სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით. მშობლებთან, მოზარდებთან და სკოლის პედაგოგებთან ინტენსიური მუშაობის შედეგად განხორციელდა პედაგოგების ჩართვა ოჯახურ ფსიქოლოგიურ სესიებში. მიღწეულ იქნა, კონკრეტულ შემთხვევებში, მოზარდების საგაკვეთილო დასწრება მშობლებთან პერმანენტულად მიმდინარეობდა საგანმანათლებლო მუშაობა შვილების აღზრდის, ქცევის მართვის, ემოციების რეგულაციის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა მარტოხელა მშობლების ემოციური მხარდაჭერის, საგანმანათლებლო და პიროვნული გაძლიერების მიმართულებით. სისტემატური კავშირი იყო შენარჩუნებული საჯარო სკოლის პედაგოგებთან.

დიდი დრო დაეთმო სამეზობლო კონფლიქტების მართვას, რისკების პრევენციისკენ და მოზარდების უსაფრთხოების დასაცავად მიმართულ პრევენციულ ფსიქო-სოციალურ მუშაობას. საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულად გააქტიურდა "კრეატიული ქალების" ჯგუფი. ბენეფიციარებთან ინდიიდუალური მუშაობის შედეგად მომწიფდა სიტუაცია, თვითონ მშობლები ჩართულიყვნენ მოზარდების არტთერაპიის ჯგუფში. ხოლო ქალბატონებმა შეძლეს საკუთარი ნამუშევრების საცალო რეალიზაცია. მათი ნამუშევრები უკვე რეალურად გახდა მცირე ფინანსური შემოსავლის წყარო, რაც სტიმულის მომცემია ბენეფიციარებისთვის. ივნისის თვეში საცხოვრისის სოციალურ მუშაკთან ერთად განხორციელდა ვიზიტი 156 -ე აჯარო სკოლაში. შედგა შეხვედრა სკოლის ადმინისტრაციისთან და პედაგოგებთან. სკოლის პედაგოგებს მიეწოდათ ინფორმაცია მოზარდების საჭიროებებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, კოგნიტურ შეაძლებლობებზე და დაისვა საკითხი მოზარდების მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ შეფასებისა და სპეც. პედაგოგის ჩართვის აუცილებლობაზე. შედგა შეხვედრა ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთან. მას მიეწოდა ინფორმაცია კონკრეტულ ბენეფიციარებზე - მარტოხელა მშობლესა და მოზარდებზე, რომლებიც

განსკუთრებულ ფსიქო-სოციალურ მხრდაჭერას საჭიროებენ. განხილულ-იქნა შესაძლო რისკები და საფრთხეები.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თვეებში განსაკუთრებით გაიზარდა მომართვა ბენეფიციარების მხრიდან. არის მზაობა „მშობელთა კლუბის" მუშაობაში სიახლეების დასანერგად, თუმცა ბენეფიციართა ნაწილი ისევ თავს არიდებს ფსიქო-სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობას, უჭირს შესაძლო რისკების გაცნობიერება ან სულაც უარყოფს არსებულ პრობლემებს. ისევ ხშირია კონფლიქტები საცხოვრისის შინაგანაწესის დაცვასთან და ჯანმრთელობის პრობლემებიდან, ყოველდღიური სოციალური თუ ეკონომიურ გამოწვევებიდან

გამომდინარე, რასაც ართულებს დაბალი სოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლად ფიუნქციონირების სუსტი უნარი.

წარმოდგენილი ანგარიში დადებითად შეაფასეს კომისიის წევრებმა და იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე